

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
N63

2024 წელი; 4 ოქტომბერი; 10:00 სთ;

ქ. თბილისი
თავისუფლების მოედანი N2

სხდომას ესწრებოდნენ:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ნინო ვარდოსანიძე (თავმჯდომარე)

ზურაბ აბაშიძე

ნინო რუხაძე

ავთანდილ ცინცაძე

კახაბერ ლაბუჩიძე

დავით ფარცვანია


მოწვეული პირები:

1. თათია ბარაქაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე;
2. სოფიო დოლონაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე;
3. ოთარ ჩიტაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე.

სხდომის თავმჯდომარე:


ნინო ვარდოსანიძე

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე




დღის წესრიგი


1. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;
2. „ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, გალაკტიონ ტაბიძის ქუჩა N10-ში არსებული 72.97 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N81.01.05.883.01.505) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
3. „ქალაქ თბილისში, სოფელ დილომში, გიორგი ბრწყინვალეს ქუჩა N51-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.20.024.002.01.514) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
4. „ქალაქ თბილისში, ქართველთა და ებრაელთა ძმობის ხეივანი N11ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.12.012.042.01.504) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
5. „ქალაქ თბილისში, აეროპორტის დასახლება N18-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.25.009.038.01.505) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
6. „ქალაქ თბილისში, დასახლება დიდ დილომში, მე-4 მიკრორაიონის კორპუს N21-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.08.005.004.01.025) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
7. „ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის ქუჩა N12-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.33.012.015) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
8. „ქალაქ თბილისში, გივი ამილახვარის ქუჩა N11-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.18.004.020) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
9. „ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების მე-2 შესახვევი N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.030.006.03.045) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
10. „ქალაქ თბილისში, ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩა N173-ში, სახლი N2-ში და კორპუს N3-ში (საკადასტრო კოდები: N01.16.09.001.002 და N01.16.09.001.003) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
11. „ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N10ა-ში, კორპუს N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.009.059.01.520) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის



- 2023 წლის 18 ოქტომბრის N23.1758.1969 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადებისა და ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N10ა-ში, კორპუს N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.009.059.01.520) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
12. „ქალაქ თბილისში, ლევან მაჭავარიანის ქუჩა N7ბ-ში (საკადასტრო კოდები: N01.19.20.020.083.01.01.020; N01.19.20.020.083.01.01.019) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
 13. „ქალაქ თბილისში, ილია სუხიშვილის ქ. N35-ის მიმდებარედ არსებული 27 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.39.029.121) პირდაპირი განკარგვის წესით ანა გეგელასთვის (პ/ნ: 01027067386) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
 14. „ქალაქ თბილისში, გ. ტაბიძის ქ. N3/5-ის მიმდებარედ არსებული 39 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.15.05.074.019) იანა პოტაპოვასთვის (პ/ნ: 01008004946) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
 15. „ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.16.05.032.024) 22 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ლალი ტარასაშვილისთვის (პ/ნ: 01024025588) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
 16. „ქალაქ თბილისში, გალაქტიონის ქ. N3/5-ის მიმდებარედ 39 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.15.05.074.046) შპს „აივეისთვის“ (ს/ნ: 404878325) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
 17. „ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი N40-46-ის მიმდებარედ არსებული 1902 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.10.15.017.035) 70 კვ.მ მიწის ნაკვეთის შპს „თ და კ რესტორნებისთვის“ (ს/ნ: 204909180) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
 18. „ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N27-29-ის მიმდებარედ არსებული 171 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.16.05.027.029) 17 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შაკა გვაზავასთვის (პ/ნ: 01024014165) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
 19. „ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N25-27-ის მიმდებარედ არსებული 1402 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.14.14.012.075) 2 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ნინო სხიერელისთვის (პ/ნ: 01006014559) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;




20. „ქ. თბილისში, დადიანის ქუჩა N4-ის მიმდებარედ 4 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.18.03.039.046) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ვივინოსთვის“ (ს/ნ: 402047094) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
21. „ქ. თბილისში, აკაკი შანიძის ქუჩა (ყოფილი კალანდაძის) N11-ის მიმდებარედ 4 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.15.02.003.022) პირდაპირი განკარგვის წესით თინათინ ჯამბურასთვის (პ/ნ: N01017015280) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
22. „ქალაქ თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზირი N37-ის მიმდებარედ არსებული 2 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.15.017.020) პირდაპირი განკარგვის წესით ჯინ შენისთვის (C/N: EH9504384) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
23. „ქ.თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N27-29-ის მიმდებარედ არსებული 171 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.16.05.027.029) 17 კვ.მ მიწის ნაკვეთის და ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/ვ: №01.16.05.032.024) 3 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „თეასთვის“ (ს/ნ: 202910519) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
24. „ქ. თბილისში, საირმეს ქ. N 37 (ს/ვ: 01.10.14.024.036), მუხაძის ქ. N 4 (ს/ვ: 01.14.11.024.004) და ი. აბაშიძის ქ. N 55 (ს/ვ: 01.14.11.024.012) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისა და დაზარალებული პირის მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულების მიზნით რიგი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
25. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით - სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ (ს/ნ: 404391136) შორის 2024 წლის 19 აპრილს გაფორმებული „უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
26. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ნუცუბიძის II მკ/რ-ნი, ინტენსიფიკაციის გზის მიმდებარედ (ნაკვეთი N13); ქალაქი თბილისი, ნუცუბიძის ფერდობების II-III-IV მკ/რ-ნის მიმდებარედ (ნაკვეთი N8); ქალაქი თბილისი, ნუცუბიძის ფერდობზე (ნაკვეთი 15/225) არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: 01.14.16.015.526, ფართობი - 1 366 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
27. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, გაზაფხულის ქუჩა N10-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.14.15.001.074, ფართობი - 3 654 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების



- საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
28. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ვანის ქუჩა N4-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.13.06.006.078, ფართობი - 1 365 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 23 იანვრის N11 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
 29. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, პეტრე ქავთარაძის ქუჩა N20ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.14.03.040.544) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
 30. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ევგენი მიქელაძის ქუჩა, N11გ-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.13.03.023.095, ფართობი - 1193 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
 31. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ხერგიანის ქუჩა N19-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.11.10.008.221, ფართობი - 2 275 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
 32. „ქალაქ თბილისში, ეთერ ბოცვაძის ქუჩა N8-ში მდებარე, N01.13.01.007.085 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 6605 კვ. მ ფართობის მქონე მიწის ნაკვეთის, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის - შპს „ლისი თაურსისთვის“ (ს/ნ: 405535915), კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.



მოისმინეს:

1. ოთარ ჩიტიძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით პირველ საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებულ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესებში (შემდგომში - „განაშენიანების რეგულირების წესები“) ცვლილების განხორციელებას.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ცვლილება შედის განაშენიანების რეგულირების წესების მე-40 მუხლის (გარდამავალი დებულებები) 11¹ პუნქტში, რაც გულისხმობს განაშენიანების რეგულირების გეგმის საფუძველზე არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ვადის ცვლილებას.

ოთარ ჩიტიძის განმარტებით, განაშენიანების რეგულირების გეგმის/კორექტირების პროექტის შეთანხმების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება შესაძლებელია მოიცავდეს ხანგრძლივ ვადას (სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობა, ტერიტორიაზე არსებული ხაზობრივი ნაგებობების მესაკუთრეთა პოზიციები და ა.შ). შესაბამისად, წარმოდგენილი ცვლილებით, განაშენიანების რეგულირების გეგმის საფუძველზე, არქიტექტურული პროექტის შეთანხმების საბოლოო თარიღი, ნაცვლად 2024 წლის 31 დეკემბრისა, განისაზღვრება - 2025 წლის 31 დეკემბრით.

მომხსენებლისვე მითითებით, წარმოდგენილი ცვლილების მიზანია პრაქტიკაში არსებული შემთხვევებიდან გამომდინარე, არსებული რეგულაციების სრულყოფა.

მომხსენების მიწურულს, ოთარ ჩიტიძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან და მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე და აქვე დასძინა, რომ დადგენილების ამოქმედების თარიღად განისაზღვრება მისი გამოქვეყნების დღე.

გადაწყვიტეს:

დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა უფრაქციო დეპუტატმა დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

2. თათია ბარაქაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეორე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, გალაკტიონ ტაბიძის ქუჩა N10-ში, მე-2 სართულზე არსებული 72.97 კვ.მ. ფართობის უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად პრივატიზების გზით, მოქალაქე



სოფო დავითოშვილისთვის საკუთრებაში გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების სიმბოლოურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით, მითითებულმა დაინტერესებულმა პირმა შუამდგომლობის გაწევის თხოვნით მიმართა მთაწმინდის რაიონის გამგეობას, ხოლო, საკითხის შესწავლის შემდგომ, გამგეობის მოკვლევით გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- მთაწმინდის რაიონის გამგეობის კიკეთი-კოჯრის საუბნო განყოფილების შემოწმების აქტებითა და მეზობლების სანოტარო წესით დამოწმებული განცხადებით დგინდება, რომ აღნიშნული მოქალაქე 2001 წლიდან ცხოვრობს მითითებულ მისამართზე; ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა ასევე დასტურდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამმართველოს ოქმით;
- სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დევნილთა მონაცემთა ბაზაში სოფო დავითოშვილი რეგისტრირებული არ არის;
- სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, დაინტერესებული პირის საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.

მომხსენების მიწურულს, თათია ბარაქაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ გამგეობის შუამდგომლობისა და ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის პირველი პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.


გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

3. თათია ბარაქაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მესამე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, სოფელ დიდლოში, გიორგი ბრწყინვალეს ქუჩა N51-ში, მე-2 სართულზე არსებული 59.63 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, მოქალაქე ვალენტინა თითირაშვილისთვის საკუთრებაში გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების სიმბოლოურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით, მითითებულმა დაინტერესებულმა პირმა



შუამდგომლობის გაწევის თხოვნით მიმართა საბურთალოს რაიონის გამგეობას, ხოლო, საკითხის შესწავლის შემდგომ, გამგეობის მოკვლევით გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამმართველოს ინფორმაციით, ზემოაღნიშნული დაინტერესებული პირი ნამდვილად ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე 2007 წლიდან. ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა ასევე დასტურდება მეზობლების სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით;
- სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, ვალენტინა თითირაშვილის და მისი ოჯახის წევრების საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.

მოხსენების მიწურულს, თათია ბარაქაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ გამგეობის შუამდგომლობისა და ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურისა და პირველი პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:


იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

4. თათია ბარაქაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეოთხე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, ქართველთა და ებრაელთა ძმობის ხეივანი N11ა-ში, პირველ სართულზე არსებული 48.08 კვ.მ ფართობის უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, მოქალაქე მალხაზ კუკავასთვის საკუთრებაში გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

მომხსენებლის განმარტებით, ზემოაღნიშნულმა დაინტერესებულმა პირმა დაკავებული ფართის პრივატიზებასთან დაკავშირებით, შუამდგომლობის გაწევის თხოვნით მიმართა გლდანის რაიონის გამგეობას, ხოლო, აღნიშნული უწყების მიერ საკითხის შესწავლისას, გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამმართველოს ინფორმაციით, ზემოაღნიშნული დაინტერესებული პირი ოჯახთან ერთად 2008 წლიდან დღემდე ცხოვრობს მითითებულ მისამართზე. ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა ასევე დასტურდება მეზობლების სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით;



- სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დევნილთა მონაცემთა ბაზაში მალხაზ კუკავა და მისი ოჯახის წევრები რეგისტრირებული არ არიან;
- სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან ამონაწერის თანახმად, მალხაზ კუკავას მინიჭებული აქვს დაბალი სარეიტინგო ქულა;
- სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, დაინტერესებული პირის და მისი ოჯახის წევრების საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.

მოხსენების მიწურულს, თათია ბარაქაძემ დასკვნის სახით აღნიშნა, რომ გამგეობის შუამდგომლობისა და ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურის, პირველი და მეორე პუნქტების ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა უფრაქციო დეპუტატმა დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

5. თათია ბარაქაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეხუთე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, აეროპორტის დასახლება N18-ში, პირველ სართულზე არსებული 24.85 კვ.მ. ფართობის უძრავი ქონების, მოქალაქე სვეტლანა დოლოიანისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით, მითითებულმა დაინტერესებულმა პირმა შუამდგომლობის გაწევის თხოვნით მიმართა სამგორის რაიონის გამგეობას, ხოლო, საკითხის შესწავლის შემდგომ, გამგეობის მოკვლევიტ გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამმართველოს ინფორმაციით, დაინტერესებული პირი 2012 წლიდან ნამდვილად ცხოვრობს მითითებულ მისამართზე. ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა ასევე დასტურდება სამგორის რაიონის გამგეობის შემოწმების აქტით და მეზობლების სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით;



- სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, სვეტლანა დოლოიანის და მისი ოჯახის წევრების საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.

მოხსენების მიწურულს, თათია ბარაქაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ გამგეობის შუამდგომლობისა და ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურისა და პირველი პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:


6. თათია ბარაქაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეექვსე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, დიდ დიღომში, მე-4 მიკრორაიონის კორპუს N21-ში, მე-9 სართულზე არსებული 58.71 კვ.მ. ფართობის N25 ბინის მოქალაქე ხათუნა ბადურაშვილისთვის, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით, მითითებულმა დაინტერესებულმა პირმა შუამდგომლობის გაწევის თხოვნით მიმართა საბურთალოს რაიონის გამგეობას, ხოლო, საკითხის შესწავლის შემდგომ, გამგეობის მოკვლევიტ გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამმართველოს ინფორმაციით, დაინტერესებული პირი 1997 წლიდან ცხოვრობს ზემოაღნიშნულ მისამართზე. ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა ასევე დასტურდება მეზობლების სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით;
- სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, დაინტერესებული პირის საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.

მოხსენების მიწურულს, თათია ბარაქაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ გამგეობის შუამდგომლობისა და ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აზრი გამოთქვას:



წინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურისა და პირველი პუნქტის მიმართ არსებული ტექნიკური ხასიათის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

7. თათია ბარაქაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეშვიდე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის ქუჩა N12-ში მდებარე უძრავი ქონების (ჯამურად - 253.62 კვ.მ.) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, მოქალაქე ეკატერინე არხოშაშვილისთვის, თამთა ქიმაძისთვის, ციური ჩიქოვანისთვის, გოჩა მაისაშვილისა და ნანა კაპანაძისთვის საკუთრებაში გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

- ეკატერინე არხოშაშვილს გადაეცემა 22.60 კვ.მ. ფართობის უძრავი ქონება, თამთა ქიმაძეს 34.07 კვ.მ. ფართობის უძრავი ქონება, ციური ჩიქოვანს 120.31 კვ.მ. ფართობის უძრავი ქონება, გოჩა მაისაშვილს 52.76 კვ.მ. ფართობის უძრავი ქონება, ხოლო ნანა კაპანაძეს 23.88 კვ.მ. ფართობის უძრავი ქონება გადაეცემა.


როგორც მომხსენებელმა განმარტა, ზემოაღნიშნულმა დაინტერესებულმა პირებმა დაკავებული ფართების პრივატიზებასთან დაკავშირებით, შუამდგომლობის გაწევის თხოვნით მიმართეს სამგორის რაიონის გამგეობას, ხოლო, აღნიშნული უწყების მიერ საკითხის შესწავლისას, გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამმართველოს ინფორმაციით, ზემოაღნიშნული დაინტერესებული პირები 1993-2000 წლებიდან დღემდე ნამდვილად ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე. ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა ასევე დასტურდება სამგორის რაიონის გამგეობის შემოწმების აქტებით და მეზობლების სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით;
- სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, დაინტერესებულ პირთა საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.

მომხსენების მიწურულს, თათია ბარაქაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ გამგეობის შუამდგომლობისა და ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა უფრაქციო დეპუტატმა დავით ფარცვანიამ.



იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

8. თათია ბარაქაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მერვე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, გივი ამილახვარის ქუჩა N11-ში მდებარე უძრავი ქონების (ჯამურად - 202.04 კვ.მ.) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზებით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, მოქალაქე ნინო გულბანისთვის, ნათელა მეცხვარიშვილისთვის, ლელა სესიაშვილისთვის, თინათინ კვანჭიანისა და ზაზა ტურიაშვილისთვის საკუთრებაში გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

- ნინო გულბანს გადაეცემა 31.96 კვ.მ. ფართობის უძრავი ქონება, ნათელა მეცხვარიშვილს 35.96 კვ.მ. ფართობის უძრავი ქონება, ლელა სესიაშვილს 39.4 კვ.მ. ფართობის უძრავი ქონება, თინათინ კვანჭიანს 34.63 კვ.მ. ფართობის უძრავი ქონება, ხოლო ზაზა ტურიაშვილს 60.09 კვ.მ. ფართობის უძრავი ქონება გადაეცემა.

მომხსენებლის განმარტებით, ზემოაღნიშნულმა დაინტერესებულმა პირებმა დაკავებული ფართების პრივატიზებასთან დაკავშირებით, შუამდგომლობის გაწევის თხოვნით მიმართეს სამგორის რაიონის გამგეობას, ხოლო, აღნიშნული უწყების მიერ საკითხის შესწავლისას, გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამმართველოს ინფორმაციით, ზემოაღნიშნული დაინტერესებული პირები 2003-2004 წლებიდან დღემდე ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე. ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა ასევე დასტურდება სამგორის რაიონის გამგეობის შემოწმების აქტებით და მეზობლების სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით;
- სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, ზემოხსენებული დაინტერესებული პირების საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.


მომხსენების მიწურულს, თათია ბარაქაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ გამგეობის შუამდგომლობისა და ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა უფრაქციო დეპუტატმა დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:



9. თათია ბარაქამემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეცხრე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების მე-2 შესახვევი N1-ში, პირველ სართულზე არსებული 43.20 კვ.მ უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, მოქალაქე მარიამ ჭუმბაძისთვის საკუთრებაში გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

მომხსენებლის განმარტებით, ზემოაღნიშნულმა დაინტერესებულმა პირმა დაკავებული ფართის პრივატიზებასთან დაკავშირებით, შუამდგომლობის გაწევის თხოვნით მიმართა გლდანის რაიონის გამგეობას, ხოლო, აღნიშნული უწყების მიერ საკითხის შესწავლისას, გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამმართველოს ინფორმაციით, ზემოაღნიშნული დაინტერესებული პირი ოჯახთან ერთად 2005 წლიდან დღემდე ცხოვრობს მითითებულ მისამართზე. ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა ასევე დასტურდება მეზობლების სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით;
- სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დევნილთა მონაცემთა ბაზაში მარიამ ჭუმბაძე და მისი ოჯახის წევრი რეგისტრირებული არ არიან;
- სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, დაინტერესებული პირის და მისი ოჯახის წევრების საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.


გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა უფრაქციო დეპუტატმა დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

10. თათია ბარაქამემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეათე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩა N173-ში, სახლი N2-ში და კორპუს N3-ში მდებარე უძრავი ქონების (ჯამურად - 93.61 კვ.მ.) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზებით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, მოქალაქე მარინე დოლიძისთვის, ნანი პირველისა და იური გიორგაძისთვის საკუთრებაში გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.



- მარინე დოლიძეს გადაეცემა 36.34 კვ.მ. ფართობის უძრავი ქონება, ხოლო ნანი პირველს და იური გიორგაძეს 57.27 კვ.მ. ფართობის უძრავი ქონება.

მომხსენებლის განმარტებით, ზემოაღნიშნულმა დაინტერესებულმა პირებმა დაკავებული ფართების პრივატიზებასთან დაკავშირებით, შუამდგომლობის გაწევის თხოვნით მიმართეს ჩუღურეთის რაიონის გამგეობას, ხოლო, აღნიშნული უწყების მიერ საკითხის შესწავლისას, გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამმართველოს ინფორმაციით, ნანი პირველი დაახლოებით 18 წელია, ხოლო მარინე დოლიძე და იური გიორგაძე 10 წელზე მეტია ნამდვილად ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე. ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა ასევე დასტურდება მეზობლების სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით;
- სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, ზემოხსენებული დაინტერესებული პირების საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.

მოხსენების მიწურულს, თათია ბარაქაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ გამგეობის შუამდგომლობისა და ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის პირველი პუნქტის მიმართ არსებული ტექნიკური ხასიათის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

11. თათია ბარაქაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეთერთმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს „ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N10ა-ში, კორპუს N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.009.059.01.520) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 18 ოქტომბრის N23.1758.1969 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადებისა და ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N10ა-ში, კორპუს N2-ში, პირველ სართულზე არსებული 33.31 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, მოქალაქე ნოდარ ეფრემიძისთვის საკუთრებაში გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.



როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 18 ოქტომბრის N23.1578.1696 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის N504 განკარგულებებით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება დაინტერესებული პირისთვის ზემოხსენებული უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის თაობაზე და მითითებული განკარგულებებით განსაზღვრული ხელშეკრულების ხელმოწერის მიზნით განისაზღვრა 3 (სამი) თვე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზემოაღნიშნული განკარგულების გამოქვეყნების დღიდან.

თათია ბარაქაძის განმარტებით, აღნიშნულ პერიოდში გაუარესდა დაინტერესებული პირის ჯანმრთელობის მდგომარეობა და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 13 აგვისტოს განჩინების საფუძველზე, იგი ცნობილ იქნა მხარდაჭერის მიმღებად. შესაბამისად, დაინტერესებულმა პირმა ვერ განახორციელა მითითებულ ხელშეკრულებაზე ხელმოწერა და გაუშვა ზემოაღნიშნული 3 (სამი) თვიანი ვადა.

მომხსენებლისვე მითითებით, სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2024 წლის 6 სექტემბერს განცხადებით მიმართა დაინტერესებული პირის დროებითა მხარდამჭერმა, ნინო ეფრემიძემ და ზემოხსენებული განჩინების საფუძველზე მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, მოითხოვა დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის თაობაზე შესაბამისი ხელშეკრულების ხელმოწერა.

მოხსენების მიწურულს, თათია ბარაქაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ზემოხსენებული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, ვინაიდან ქალაქ თბილისის საკრებულოს შესაბამისი აქტის გამოქვეყნებიდან 3 (სამი) თვიანი ვადა გავიდა, მიზანშეწონილი გახდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 18 ოქტომბრის N23.1578.1696 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადება და დაინტერესებული პირისთვის ზემოხსენებული უძრავი ქონების პრივატიზების საკითხების შეთანხმება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

აზრი გამოთქვას:


ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურის, პრემიუმის და პირველი პუნქტის მიმართ არსებული სამართლებრივი და ტექნიკური ხასიათის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

12. თათია ბარაქაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეთორმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, ლევან მაჭავარიანის ქუჩა N7 ბ-ში, 75კვ.მ. ფართობის N20 ბინის და 50 კვ.მ. ფართობის N19 ბინის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად პრივატიზების გზით, მოქალაქე მარინა ჩადუნელისა და ლია ბაკურიძისთვის საკუთრებაში გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.



როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგეობაში წარდგენილი განცხადებებით, დაინტერესებულმა პირებმა თანხმობა განაცხადეს ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, III მასივში, IV კვარტალში, კორპუს N1-ში მდებარე, მათ მფლობელობაში არსებული N1 და N19 ბინების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უსასყიდლოდ დათმობის სანაცვლოდ, ზემოხსენებული საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემის თაობაზე. აღნიშნული უწყების მიერ საკითხის შესწავლისას, გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:


- სამგორის რაიონის გამგეობის შემოწმების აქტების თანახმად, ზემოხსენებულ მისამართზე მდებარე N1 ბინა 1995 წლიდან იყო მარინე ჩადუნელის სარგებლობაში, ხოლო ამავე მისამართზე მდებარე N19 ბინა 1961 წლიდან არის ლია ბაკურაძის ოჯახის საკუთრებაში, რაც ასევე დადასტურებულია N1703 ორდერით;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2023 წლის 3 თებერვლის ოქმების თანახმად, დაინტერესებული პირები დაახლოებით 15 წლის განმავლობაში ცხოვრობდნენ ზემოაღნიშნულ მისამართზე.

თათია ბარაქაძის განმარტებით, (ა)იპ „თბილისის მუნიციპალიტეტის ლაბორატორიის“ 2019 წლის 13 მარტის დასკვნის საფუძველზე, შენობის მძიმე ტექნიკური მდგომარეობიდან გამომდინარე და მოსახლეობის უსაფრთხოების წესების დაცვის საფუძველზე ადგილობრივი გამგეობის ორგანიზებით განხორციელდა მოსახლეობის არაგეგმიური გამოსახლება (ევაკუაცია). დღეის მდგომარეობით, 12 (ბინა) ოჯახიდან - 6 ოჯახი არის გადაყვანილი ქირით. არსებული საცხოვრებელი კორპუსი 2021 წელს მძიმე ავარიულობის გამო დაინგრა.

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზეც, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს 2022 წლის 18 ოქტომბრის წერილის თანახმად, ასაშენებელი ან აშენებული შენობის, გასარემონტებელ მდგომარეობამდე მიყვანის, სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ერთი კვ.მ. ფართის ღირებულება დგინდება მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულებიდან ან შესრულებული სამუშაოების საბოლოო აქტით (ფორმა N2) დადასტურებული ღირებულებიდან, ამდენად სააგენტოს მიერ ექსპერტიზის წინაშე დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა შეუძლებელი აღმოჩნდა. მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდის“ 2022 წლის 26 ოქტომბრის წერილის თანახმად, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით, ქ. თბილისი, ათონელის ქუჩა N17, ათონელის ქუჩა N20 და ფხოვის ქუჩა N3-ში მდებარე უძრავი ქონებების სარეაბილიტაციო-სარემონტო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, ხსენებულ ობიექტებზე სარეაბილიტაციო-სარემონტო სამუშაოების საშუალო ფასი სამივე ობიექტისათვის 1 (ერთი) კვადრატულ მეტრზე შეადგენს 286.20 ლარს.

მომხსენების მიწერულს, თათია ბარაქაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ, თბილისის განვითარების ფონდის პრაქტიკის გაზიარებით, მიზანშეწონილად მიიჩნია გადასაცემი ფართებისთვის ე.წ. „თეთრი კარკასის“ მდგომარეობიდან გარემონტებულ მდგომარეობამდე მიყვანისთვის 1 (ერთი) კვადრატულ მეტრზე განსაზღვრულ იქნას ფასი - 286 ლარის ოდენობით და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესათანხმებლად წარუდგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხი.

აზრი გამოთქვას:



ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურის და პირველი პუნქტის მიმართ არსებული ტექნიკური ხასიათის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

13. თათია ბარაქაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეცამეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქ. თბილისში, ილია სუხიშვილის ქ. N35-ის მიმდებარედ არსებული 27 კვ.მ. მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, კიბის და პანდუსის ფუნქციონირების მიზნით, მოქალაქე ანა გეგელიასთვის იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის საკრებულოსთან შეთანხმებას.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს განცხადებით მიმართა დაინტერესებულმა პირმა და ითხოვა ზემოხსენებული მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემა, კიბის და პანდუსის ფუნქციონირების მიზნით.

თათია ბარაქაძემ ყურადღება გაამახვილა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის და სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიციებზე, რომელთა თანახმადაც, ზემოხსენებული მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება იმ პირობით, რომ დაცული იქნება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 30-ე მუხლით დადგენილი რეგულაციები.

მომხსენებლისვე მითითებით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2024 წლის 17 სექტემბრის დასკვნის თანახმად, დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, 2024 წლის 13 სექტემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა - 3,888 ლარის ოდენობით.


მომხსენებლის მიწერულს, თათია ბარაქაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა - 5 წელი;
- საიჯარო ქირის წლიური საფასური - 3,888 ლარი.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-3 პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:



იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

14. თათია ბარაქაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეთოთხმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქ. თბილისში, გ. ტაბიძის ქ. N3/5-ის მიმდებარედ არსებული 39 კვ.მ. მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, იანა პოტაპოვასთვის იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში მოქმედი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოსა და სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიციებზე, რომელთა თანახმადაც, ზემოხსენებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.

მომხსენებლისვე მითითებით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2024 წლის 19 სექტემბრის დასკვნის თანახმად, დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, 2024 წლის 18 სექტემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 11,700 ლარის ოდენობით.

მომხსენების მიწურულს, თათია ბარაქაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა - 5 წელი;
- საიჯარო ქირის წლიური საფასური - 11,700 ლარი.

აზრი გამოთქვას:


ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-3 პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

15. თათია ბარაქაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეთხუთმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 22 კვ.მ. მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, ღია კაფეს მოწყობის



მიზნით, მოქალაქე ლალი ტარასაშვილისთვის იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის და სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიციებზე, რომელთა თანახმადაც, ზემოხსენებული მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება იმ პირობით, რომ შენარჩუნდება 5 მეტრი სიგანის მქონე საჯარო /საქვეითე სივრცე, ხოლო ობიექტის ინვენტარი განთავსდება 5 მეტრი სიგანის მქონე საჯარო/საქვეითე სივრცის მიღმა.

მომხსენებლისვე განმარტებით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2024 წლის 20 აგვისტოს დასკვნის თანახმად, დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის მთლიანი წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, 2024 წლის 15 აგვისტოს მდგომარეობით, საორიენტაციოდ შეადგენდა 5,280 ლარს.

მომხსენების მიწურულს, თათია ბარაქაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა - 5 წელი;
- საიჯარო ქირის წლიური საფასური - 5,280 ლარი.

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის პირველი და მე-3 პუნქტების ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

16. თათია ბარაქაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეთექვსმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქ. თბილისში, გალაქტიონის ქ. N3/5-ის მიმდებარე 39 კვ.მ. მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, შპს „აივეისთვის“ იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში მოქმედი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოსა და სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიციებზე, რომელთა თანახმადაც, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება იმ პირობით, რომ განთავსდება



მხოლოდ, მსუბუქი მაგიდა და სკამები, ყოველგვარი შემომზღუდავი ელემენტების, დეკორატიული ქოთნებისა და პოდიუმის გარეშე.

მომხსენებლისვე მითითებით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2024 წლის 13 სექტემბრის დასკვნის თანახმად, დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის მთლიანი წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, 2024 წლის 12 სექტემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ შეადგენს 11,700 ლარს.

მომხსენების მიწურულს, თათია ბარაქაძემ დასკვნის სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა - 2029 წლის 30 აგვისტომდე;
- საიჯარო ქირის წლიური საფასური - 11,700 ლარი.

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-3 პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.


მოისმინეს:

17. თათია ბარაქაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეჩვიდმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი N40-46-ის მიმდებარედ არსებული 1902 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 70 კვ.მ მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, ღია კაფეს მოწყობის და ასევე, კიბის უჯრედის და პანდუსის განთავსების მიზნით, შპს „თ და კ რესტორნებისთვის“ იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

მომხსენებლის განმარტებით, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურისა და სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ წარმოდგენილი პოზიციებით, ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.

მომხსენებლისვე მითითებით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2024 წლის 17 სექტემბრის დასკვნის თანახმად, დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის მთლიანი წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, 2024 წლის 13 სექტემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ შეადგენს 15,744 ლარს.

მომხსენების მიწურულს, თათია ბარაქაძემ დასკვნის სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ



მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა - 5 წელი;
- საიჯარო ქირის წლიური საფასური - 15,744 ლარი.

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-3 პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

18. თათია ბარაქაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეთვრამეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N27-29-ის მიმდებარედ არსებული 171 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 17 კვ.მ. მიწის ნაკვეთის, სარგებლობის უფლებით, ღია კაფეს განთავსების მიზნით, მოქალაქე მაკა გვაზავასთვის იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში მოქმედი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოსა და სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიციებზე, რომელთა თანახმადაც, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება იმ პირობით, რომ შენარჩუნდება 5 მეტრი სიგანის მქონე საჯარო/საქვეითო სივრცე, ხოლო ობიექტის ინვენტარი განთავსდება 5 მეტრი სიგანის მონაკვეთის მიღმა.


მომხსენებლისვე მითითებით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2024 წლის 13 სექტემბრის დასკვნის თანახმად, დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2024 წლის 12 სექტემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 4,080 ლარით.

მომხსენების მიწურულს, თათია ბარაქაძემ დასკვნის სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა - 5 წელი;
- საიჯარო ქირის წლიური საფასური - 4,080 ლარი.

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მიმართ არსებული ტექნიკური ხასიათის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.



გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

19. თათია ბარაქაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეცხრამეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N25-27-ის მიმდებარედ არსებული 1402 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 2 კვ.მ. მიწის ნაკვეთის, სარგებლობის უფლებით, ღია კაფეს განთავსების მიზნით, მოქალაქე ნინო სხიერელისთვის იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურისა და სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ წარმოდგენილი პოზიციებით, ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.

მომხსენებლისვე განმარტებით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული 2024 წლის 13 სექტემბრის დასკვნის თანახმად, დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2024 წლის 12 სექტემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 480 ლარით.

მომხსენების მიწურულს, თათია ბარაქაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა - 5 წელი;
- საიჯარო ქირის წლიური საფასური - 480 ლარი.

აზრი გამოთქვეს:


ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მიმართ არსებული ტექნიკური ხასიათის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

20. თათია ბარაქაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეოცე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების



პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქ. თბილისში, დადიანის ქუჩა N4-ის მიმდებარედ 4 კვ.მ. მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, შპს „ვივინოსთვის“ იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში მოქმედი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოსა და სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიციებზე, რომელთა თანახმადაც, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.

მომხსენებლისვე მითითებით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2024 წლის 13 სექტემბრის დასკვნის თანახმად, დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2024 წლის 12 სექტემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 1,200 ლარით.

მომხსენების მიწურულს, თათია ბარაქაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა - 2027 წლის 1 თებერვლამდე;
- საიჯარო ქირის წლიური საფასური - 1,200 ლარი.

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მიმართ არსებული ტექნიკური ხასიათის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.


გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

21. თათია ბარაქაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ოცდამეერთე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქ. თბილისში, აკაკი შანიძის ქუჩა (ყოფილი კალანდაძის) N11-ის მიმდებარედ 4 კვ.მ. მიწის ნაკვეთის, სარგებლობის უფლებით, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, მოქალაქე თინათინ ჯამბურასთვის იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში მოქმედი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოსა და სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიციების თანახმად, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.



მომხსენებლისვე განმარტებით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2024 წლის 17 სექტემბრის ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2024 წლის 13 სექტემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 960 ლარით.

მომხსენებლის მიწურულს, თათია ბარაქაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა - 2025 წლის 18 აპრილამდე;
- საიჯარო ქირის წლიური საფასური - 960 ლარი.

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მიმართ არსებული ტექნიკური ხასიათის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:


22. თათია ბარაქაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ოცდამეორე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზირი N37-ის მიმდებარედ არსებული 2 კვ.მ. მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, კიბის უჯრედის ფუნქციონირების მიზნით, ჯინ შენისთვის იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურისა და სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ წარმოდგენილი პოზიციებით, ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.

მომხსენებლისვე მითითებით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2024 წლის 13 სექტემბრის დასკვნით, დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, 2024 წლის 12 სექტემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა - 288 ლარით.

მომხსენებლის მიწურულს, თათია ბარაქაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა - 5 წელი;



➤ საიჯარო ქირის წლიური საფასური - 288 ლარი.

აზრი გამოთქვას:

წინა ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის პირველი და მე-3 პუნქტების მიმართ არსებული ტექნიკური ხასიათის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

23. თათია ბარაქაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ოცდამესამე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N27-29-ის მიმდებარედ არსებული 171 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 17 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 3 კვ.მ. მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, შპს „თეასთვის“ იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.


მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში მოქმედი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოსა და სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიციებზე, რომელთა თანახმადაც, ზემოხსენებული მიწის ნაკვეთების სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება იმ პირობით, რომ შენარჩუნდება 5 მეტრი სიგანის მქონე საჯარო/საქვეითე სივრცე, ხოლო ობიექტის ინვენტარი განთავსდება 5 მეტრი სიგანის მონაკვეთის მიღმა.

მომხსენებლისვე განმარტებით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2024 წლის 13 სექტემბრის ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთების წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2024 წლის 12 სექტემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა ჯამურად 4,800 ლარით.

მომხსენებლის მიწურულს, თათია ბარაქაძემ დასკვნის სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა - 5 წელი;
- საიჯარო ქირის წლიური საფასური - 4,800 ლარი.

აზრი გამოთქვას:



წინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურისა და მე-3 პუნქტის მიმართ არსებული ტექნიკური ხასიათის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომსახურებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

24. წინო ვარდოსანიძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ოცდამეოთხე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს მისამართებზე: ქ. თბილისი, საირმეს ქ. N37, ქ. თბილისი, მუხამის ქ. N4 და ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. N55, არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულების მიზნით შემდეგი ღონისძიებების გატარებას:

ა) „მისამართებზე: - 1. ქ. თბილისი, საირმეს ქ. N 37 (ს/კ: 01.10.14.024.036), 2. ქ. თბილისი, მუხამის ქ. N 4 (ს/კ: 01.14.11.024.004), 3. ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. N 55 (ს/კ: 01.14.11.024.012) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N641 განკარგულების:


ა.ა) დანართი N3-ით (მხოლოდ ნასყიდობის ხელშეკრულების შესაბამისად ვალდებულებების შესრულებისათვის მსურველ პირთა სია მისამართზე - ქ. თბილისი, საირმეს ქ. N 37 (ს/კ: 01.10.14.024.036)) განსაზღვრულ პირს - ზურაბ ბახტურიძეს თანხის სახით გასაცემი კომპენსაციის ოდენობად განესაზღვროს 65,000 (სამოცდახუთი ათასი) აშშ დოლარი;

ა.ბ) მიეცეს კომპენსაცია ზურაბ ბახტურიძეს 65,000 (სამოცდახუთი ათასი) აშშ დოლარის ოდენობით;

ბ) „მისამართებზე: - 1. ქ. თბილისი, საირმეს ქ. N 37 (ს/კ: 01.10.14.024.036), 2. ქ. თბილისი, მუხამის ქ. N 4 (ს/კ: 01.14.11.024.004), 3. ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. N 55 (ს/კ: 01.14.11.024.012) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N641 განკარგულების:

ბ.ა) დანართი N5-ით (საკუთარ/სხვის საკუთრებაში/ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ფართების უფლებრივად გათავისუფლების მსურველ პირთა სია) გათვალისწინებული პირის - ეკატერინე გაბომის მიმართ თანხის სახით გასაცემი კომპენსაციის ოდენობად განესაზღვროს 130,514 (ას ოცდაათი ათას ხუთას თოთხმეტი) ლარი;

ბ.ბ) მიეცეს კომპენსაცია ეკატერინე გაბომს 130,514 (ას ოცდაათი ათას ხუთას თოთხმეტი) ლარის ოდენობით.



ნინო ვარდოსანიძემ ყურადღება გაამახვილა იმ სამართლებრივ გარემოებებზე, რომლებიც საფუძვლად დაედო წარმოდგენილი განკარგულების პროექტის მომზადებას და აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველმა კომისიამ (შემდგომში - „კომისია“) წარუდგინა დადებითი რეკომენდაცია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს „ათორის“ და მასთან აფილირებული კომპანიების ფარგლებში მისამართებზე: - ქ. თბილისი, საირმეს ქ. N37; ქ. თბილისი, მუხაძის ქ. N4 და ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. N55 - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით მხარდამჭერ ღონისძიებებთან დაკავშირებით. აღნიშნული მხარდამჭერი ღონისძიებები დაამტკიცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ (განკარგულება N23.2153.2405, 27.12.2023) და შეითანხმა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ (განკარგულება N641, 28.12.2023).

მომხსენებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის და დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ზემოაღნიშნული დაზარალებული პირების მიმართ დგინდება შემდეგი:

- ზურაბ ბახტურიძემ, 2018 წლის 02 აპრილს, შპს „საინვესტიციო-დეველოპერულ კომპანია ათორთან“ გააფორმა უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, შეიძინა ქ. თბილისში, საირმის ქუჩა N37-ში, 76 კვ.მ. ფართობის ბინა, რისთვისაც გადაიხადა 49,000 აშშ დოლარი. თუმცა დარჩენილი თანხის გადახდის სანაცვლოდ, იპოთეკით დატვირთა დედის ბინა. ზურაბ ბახტურიძე დაზარალებულად ცნობილია 65,000 აშშ დოლარის ნაწილში; დაზარალებული პირი ნოტარიულად დამოწმებული თანხმობის წერილით, ითხოვს მისამართზე - ქ. თბილისი, საირმეს ქ. N37-ში მისაღები ფართის ნაცვლად თანხის სახით კომპენსაციას თბილისის პროკურატურის მიერ დადასტურებული - 65,000 აშშ დოლარის ოდენობით. ამასთანავე, დაზარალებული პირი აცხადებს, რომ თანხის მიღების შემთხვევაში არ აქვს და არც მომავალში ექნება რაიმე სახის პრეტენზია/მოთხოვნის უფლება შპს „ათორი დეველოპმენტისა“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიმართ;
- ეკატერინე გაბოძემ, 2019 წლის 15 დეკემბერს შპს „საინვესტიციო-დეველოპერული კომპანია ათორთან“ გააფორმა ხელშეკრულება, ქ. თბილისში, საირმის ქუჩა N37-ში, მე-3 ან მე-4 სართულზე მდებარე 100 კვ.მ. საცხოვრებელი ფართის ნასყიდობის შესახებ, რომლის ღირებულება შეადგენს 200,000 ლარს. ხელშეკრულებაში მითითებული თანხა დაფიქსირებულ იქნა მხოლოდ ფორმალურად, რადგან თანხის სანაცვლოდ ბესიკ თხელიძეს 2018 წელს გადასცა თავისი კუთვნილი უძრავი ქონება (მისამართზე - დელისის ქ. N3, სადარბაზო 2, სართული 12, ბ. 68), რომელიც გაფორმდა მოქალაქე ქრისტინე კუპრაგას სახელზე, იმ პირობით, რომ შპს „საინვესტიციო-დეველოპერული კომპანია ათორთან“ ხელშეკრულებით განსაზღვრული ფართის მიღებამდე, ეკატერინე გაბოძე ისარგებლებდა აღნიშნული უძრავი ქონებით. მან ასევე შეიძინა 15 კვ.მ - ავტოსადგომიც. ეკატერინე გაბოძე დაზარალებულად ცნობილია 200,000 ლარის ნაწილში;
- ქრისტინე კუპრაგამ - შპს „საინვესტიციო დეველოპერულ კომპანია“ ათორთან გააფორმა წინარე ნასყიდობის ხელშეკრულება და 55,000 აშშ დოლარად შეიძინა ბინა (80 კვ.მ.), მდებარე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, საირმის ქ. 37. ბინის შეძენის მიზნით, მან აიღო „საქართველოს ბანკის“ იპოთეკური სესხი - 57,250 აშშ დოლარის ოდენობით, რომლის უზრუნველყოფისთვის ვალდებულებით დაიტვირთა უძრავი ქონება (მისამართზე - დელისის ქ. N3, სადარბაზო 2, სართული 12, ბ. 68). ქრისტინე კუპრაგამ იპოთეკური სესხის ფარგლებში გადაიხადა 26,145.16 აშშ დოლარი.



- რამდენადაც ქრისტიანე კუპრავა ველარ უზრუნველყოფდა დარჩენილი სესხის გადახდას - ეკატერინე გაბომემ აღნიშნული უძრავი ქონების ვალდებულებისგან გათავისუფლების მიზნით, აიღო სს „თი ბი სი ბანკის“ სესხი, რომლის ფარგლებში სრულად დაფარა ქრისტიანე კუპრავას სს „საქართველოს ბანკის“ მიმართ დარჩენილი ვალდებულება. სს „თი ბი სი ბანკის“ მიერ მოწოდებული ინფორმაციით, სესხი გაიცა ეკატერინე გაბომის შვილზე ალექსანდრე წურქავაზე, რომლის ნაწილი - 116,663 ლარი მოხმარდა ზემოთ აღნიშნული ბინის ვალდებულებისგან გათავისუფლებას. გარდა ამისა, გადახდილ იქნა ფინანსური ვალდებულების მომსახურებისათვის საკომისიო 13,851 ლარი.
- ეკატერინე გაბომე ნოტარიულად დამოწმებული თანხმობის წერილით, ითხოვს 130,514 ლარის ანაზღაურებას და აცხადებს, რომ აღნიშნული თანხის მიღების შემთხვევაში, არ აქვს და არც მომავალში ექნება რაიმე სახის პრეტენზია/მოთხოვნის უფლება შპს „ათორი დეველოპმენტისა“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიმართ.

მოხსენების მიწურულს, ნინო ვარდოსანიძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულისა და კომისიის დადებითი რეკომენდაციის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში, მიზანშეწონილად მიიჩნია, მისამართებზე: ქ. თბილისი, საირმეს ქ. N37, ქ. თბილისი, მუხაძის ქ. N4 და ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. N55, არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულების მიზნით ზემოთ მითითებული ღონისძიებების გატარება.

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტში დაზარალებულ პირთათვის გასაცემი თანხის ანგარიშსწორების შესახებ შესაბამისი პუნქტის დამატების მიზანშეწონილობაზე, ასევე პროექტის მიმართ არსებული ტექნიკური ხასიათის რეკომენდაციებზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

25. თათია ბარაქაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ოცდამეხუთე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით - სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ (ს/ნ: 404391136) შორის 2024 წლის 19 აპრილს გაფორმებული „უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანას.

მომხსენებლის მითითებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 31 იანვრის N4 სხდომის ოქმით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსს ირაკლი



თავართქილამეს დაევალა ქალაქ თბილისში, გმირთა მოედნის მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაციის/მოწესრიგების, საგზაო უსაფრთხოების ნორმების დაცვისა და გზის სავალი ნაწილის გაფართოების მიზნით კერძო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ადგილმონაცვლეობის საკითხთან დაკავშირებით, შესაბამის პირებთან მოლაპარაკებების წარმოება და შესაბამისი გადაწყვეტილებების მისაღებად წინადადებების წარდგენა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის.


აღნიშნულის გათვალისწინებით, როგორც მომხსენებელმა განმარტა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 16 თებერვლის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 20 თებერვლის განკარგულებების საფუძველზე, სააგენტოსა და შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ შორის 2024 წლის 19 აპრილს გაფორმდა „უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულება, რომლითაც ქონების შემძენს გადაეცა ჯორჯ ბალანჩინის ქუჩა №21-ში მდებარე 2 402 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, ხოლო სანაცვლოდ მუნიციპალიტეტმა მიიღო გმირთა მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე (ცენტრალური საცურაო აუზის მექანიკური სამქროს მიმდებარედ) არსებული 234 კვ.მ. მიწის ნაკვეთი. გარდა ამისა, ქონების შემძენის მიერ მუნიციპალიტეტისთვის გადმოცემული მიწის ნაკვეთის ღირებულება 225,846 ლარით აღემატება მუნიციპალიტეტის მიერ გადაცემული ქონების ღირებულებას.

თათია ბარაქაძემ ყურადღება გაამახვილა ხელშეკრულების 4.3 პუნქტზე, რომლის თანახმადაც, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი არ არის ვალდებული, ქონების შემძენს გადაუხადოს უძრავი ქონებების ფასთა შორის არსებული ზემოაღნიშნული სხვაობა; ამასთანავე, შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 (ექვსი) თვის განმავლობაში ითანამშრომლებენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შესაბამისი უძრავი ქონების მოძიებისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიასთვის“ მისი საკუთრების ან სარგებლობის უფლებით (შესაბამისი ფორმით) გადაცემის მიზნით, ფასთა შორის სხვაობის შესაბამისი ქონების საბაზრო საპრივატიზებო ან/და სარგებლობის საფასურის (შესაბამისად) ანგარიშში ჩათვლის პირობით.

მომხსენებლის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ მხარეებს შორის მიმდინარეობს ინტენსიური მოლაპარაკებები, ამ ეტაპზე შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული და გრძელდება შესაბამისი მიწის ნაკვეთის მოძიების/შეთავაზების პროცესი. შესაბამისად, დღის წესრიგში დგას ხელშეკრულების 4.3 პუნქტით გათვალისწინებული 6 (ექვსი) თვიანი ვადის გაზრდის საკითხი. ამასთანავე, აღნიშნული პროცესის წარმატებით დასრულება წარმოადგენს არამხოლოდ ქონების შემძენის, არამედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ინტერესს. მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ სსიპ ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილი 2024 წლის 1 ოქტომბრის განცხადებით, ქონების შემძენის მიერ მოთხოვნილ იქნა ხელშეკრულების 4.3 პუნქტით განსაზღვრული ვადის 12 (თორმეტი) თვემდე გაზრდა.

მომხსენების მიწურულს, თათია ბარაქაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის საკითხის შესათანხმებლად წარმოდგენა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

აზრი გამოთქვას:



ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სამართლებრივი საფუძვლების დაზუსტებისა და პრეამბულის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

26. ოთარ ჩიტიძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ოცდამეექვსე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ნუცუბიძის II მკ/რ-ნი, ინტენსიფიკაციის გზის მიმდებარედ (ნაკვეთი N13); ქალაქი თბილისი, ნუცუბიძის ფერდობების II-III-IV მკ/რ-ნის მიმდებარედ (ნაკვეთი N8); ქალაქი თბილისი, ნუცუბიძის ფერდობზე (ნაკვეთი 15/225) არსებულ მიწის ნაკვეთთან (ფართობი - 1 366 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=2.5-დან კ-2=3.0-მდე, რაც გულისხმობს შეთანხმებულ მოცულობაზე 1 (ერთი) სართულის დამატებასა და 8 (რვა) სართულიანი შენობის განთავსებას. ასევე, დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

ოთარ ჩიტიძის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6), ხოლო სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 9 ივლისის ბრძანებით, შეთანხმებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი (კ-2=2.5).

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2024 წლის 5 ივნისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 1,683,062 ლარს, ხოლო ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის 2024 წლის 7 სექტემბრის წერილის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე კ-2 კოეფიციენტის 2.5-დან 3.0-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 336,612.40 ლარს.

მომხსენების მიწურულს, ოთარ ჩიტიძემ დასკვნის სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის



სანაცვლოდ, ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით, შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა:

- ხდება მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება 2.5-დან 3.0-მდე;
- არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე;
- დაინტერესებულმა პირმა ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის - 336,612.40 ლარის გადარიცხვა განახორციელოს ხაზინის ერთიან ანგარიშზე;
- დაინტერესებულმა პირმა ზემოაღნიშნული თანხის ჩარიცხვა უნდა განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე, მაგრამ არაუგვიანეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან 6 თვის ვადისა;
- ზემოაღნიშნული ვალდებულებების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა იწვევს წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას.

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-5 მუხლის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვეტის:


განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, პოზიცია - „წინააღმდეგია“ დააფიქსირა უფრაქციო დეპუტატმა დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმომდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

27. ოთარ ჩიტიძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ოცდამეშვიდე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, გაზაფხულის ქუჩა N10-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (ფართობი - 3 654 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

აზრი გამოთქვას:



ნინო ვარდოსანიძემ კომისიის წევრებს შესთავაზა საკითხის დამატებით შესწავლისა და ანალიზის მიზნით საკითხის გადადება.

ნინო ვარდოსანიძის რეკომენდაცია გაზიარებულ იქნა კომისიის წევრების მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი სხდომის დღის წესრიგის ოცდამეშვიდე საკითხის გადადებას.

მოისმინეს:


28. ოთარ ჩიტაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ოცდამეგრე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ვანის ქუჩა N4-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.13.06.006.078, ფართობი - 1 365 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 23 იანვრის N11 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადებას.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით, დაინტერესებულმა პირმა, ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთზე მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების სასაფრთხოდ (კ-2=3.1), გამოხატა მზაობა მაკომპენსირებელი ღონისძიებების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდაზე.

ოთარ ჩიტაძის განმარტებით, ზემოაღნიშნული განცხადება მოწონებულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 17 იანვრის N24.62.94 განკარგულებითა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 23 იანვრის N11 განკარგულებით, რომლის შესაბამისადაც, დაინტერესებულმა პირმა ხელშეწყობი ღონისძიებების გამოყენებისთვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი თანხა - 764,424.70 ლარი, დადგენილ ვადაში გადარიცხა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე.

მომხსენებლისვე მითითებით, 2024 წლის 20 სექტემბერს დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი განცხადების თანახმად, ფინანსური საკითხებიდან გამომდინარე ვერ მოხერხდა სართულების დამატება და მოთხოვნილ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზემოხსენებული განკარგულების გაუქმება და მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, გადახდილი თანხის დაბრუნება.

მომხსენების მიწურულს, ოთარ ჩიტაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, ზემოაღნიშნული მოთხოვნის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ 2024 წლის 2 ოქტომბრის განკარგულებით გადაწყვიტა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 17 იანვრის N24.62.94 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადება და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 23 იანვრის N11 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადებისა და გადახდილი თანხის - 764,424.70 ლარის



დაინტერესებული პირისთვის დაბრუნების საკითხის შესათანხმებლად წარმოდგენა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

აზრი გამოთქვას:

წინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-2 და მე-3 მუხლების ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, პოზიცია - „წინააღმდეგია“ დააფიქსირა უფრაქციო დეპუტატმა დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმომდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.


მოისმინეს:

29. ოთარ ჩიტიძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ოცდამეცხრე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, პეტრე ქავთარაძის ქუჩა N20ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (ფართობი - 16 490 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=4.7-დან კ-2=5.2-მდე, რაც გულისხმობს შეთანხმებულ მოცულობაზე 3 (სამი) მიწისზედა სართულის დამატებასა და 28 (ოცდარვა) სართულიანი შენობების განთავსებას. ასევე, მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

ოთარ ჩიტიძის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, საპროექტო მიწის ნაკვეთის ძირითად ნაწილზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2), ხოლო მცირე ნაწილზე სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) და სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3), ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებულია სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) და სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3). ამასთანავე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 15 თებერვლის N51 განკარგულებით, დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი (კ-2=4.7), ხოლო სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 5 სექტემბრის ბრძანებით, შეთანხმებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი (კ-2=4.7).

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნაზე, რომლის მიხედვითაც,



საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2024 წლის 19 სექტემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 56,157,816 ლარს, ხოლო ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის 2024 წლის პირველი ოქტომბრის წერილის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე კ-2 კოეფიციენტის 4.7-დან 5.2-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 5,974,235.74 ლარს.

მოხსენების მიწურულს, ოთარ ჩიტიმემ დასკვნის სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისა ფასის გადახდის სანაცვლოდ, ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით, შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა:

- ხდება მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება კ-2=4.7-დან კ-2=5.2-მდე;
- არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე.
- დაინტერესებულმა პირმა ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის - 5,974,235.74 ლარის გადარიცხვა განახორციელოს ხაზინის ერთიან ანგარიშზე;
- დაინტერესებულმა პირმა ზემოაღნიშნული თანხის ჩარიცხვა უნდა განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე, მაგრამ არაუგვიანეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან 6 თვის ვადისა;
- დაინტერესებულმა პირმა მშენებლობის ნებართვის აღებამდე უნდა წარმოადგინოს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომზადებული დასკვნა, რომლითაც დადასტურებული იქნება, რომ გამოყენებული ხელშემწყობი ღონისძიებები არ იქონიებს გავლენას არსებული შენობა-ნაგებობ(ებ)ის მდგრადობასა და უსაფრთხოებაზე;
- ზემოაღნიშნული ვალდებულებების შეუსრულებლობა იწვევს წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას.


აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-6 მუხლის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, პოზიცია - „წინააღმდეგია“ დააფიქსირა უფრაქციო დეპუტატმა დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული



.რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნეის საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:


30. ოთარ ჩიტიძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ოცდამეათე .საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ევგენი მიქელაძის ქუჩა, N11გ-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (ფართობი - 1193 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=4.4-დან კ-2=6.7-მდე, რაც გულისხმობს შეთანხმებულ მოცულობაზე 5 (ხუთი) სართულის დამატებასა და 17 (ჩვიდმეტ) სართულიანი შენობის განთავსებას. ასევე, დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

ოთარ ჩიტიძის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1), ამასთანავე, სსიპ - არქიტექტურის სამსახურის სამსახურის 2020 წლის 11 მაისის ბრძანებით შეთანხმებულია მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის არქიტექტურული პროექტი (კ-2=4.4), ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 20 ივნისის ბრძანებით, საპროექტო მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (90%-ის) განთავსების მიზნით, გაიცა სპეციალური (ზონალური) შეთანხმება.

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2024 წლის 16 აგვისტოს მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 3,042,247 ლარს, ხოლო ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის 2024 წლის 29 აგვისტოს წერილის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე კ-2 კოეფიციენტის 4.4-დან 6.7-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 1,590,265.50 ლარს.

მომხსენების მიწურულს, ოთარ ჩიტიძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთებთან მიმართებით, შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა:



- იზრდება მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2) კ-2=4.4-დან კ-2=6.7-მდე;
- არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე;
- დაინტერესებულმა პირმა ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის - 1,590,265.50 გადარიცხვა განახორციელოს ხაზინის ერთიან ანგარიშზე;
- დაინტერესებულმა პირმა ზემოაღნიშნული თანხის ჩარიცხვა უნდა განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე, მაგრამ არაუგვიანეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან 6 თვის ვადისა;
- ზემოაღნიშნული ვალდებულებების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა იწვევს წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას.

აზრი გამოთქვას:

წინა ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-5 მუხლის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:


განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, პოზიცია - „წინააღმდეგია“ დააფიქსირა უფრაქციო დეპუტატმა დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმომდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

31. ოთარ ჩიტიძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ოცდამეთერთმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ხერგიანის ქუჩა N19-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (ფართობი - 2 275 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=2.5-დან კ-2=4.1-მდე, რაც გულისხმობს არსებულ მოცულობაზე 5 (ხუთი) მიწისზედა სართულის დამატებას



და 12 (თორმეტი) სართულიანი შენობის განთავსებას. ასევე, მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.


ოთარ ჩიტიძის განმარტებით, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6), ხოლო სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 6 ივნისის ბრძანებით, დადგენილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები (კ-2=2.5).

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნაზე, რომლის მიხედვითაც, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2024 წლის 3 სექტემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 1,841,771 ლარს, ხოლო ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის 2024 წლის 10 სექტემბრის წერილის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე კ-2 კოეფიციენტის 2.5-დან 4.1-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 1,178,733.44 ლარს.

მოხსენების მიწურულს, ოთარ ჩიტიძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით, შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა:

- ხდება მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება კ-2=2.5-დან კ-2=4.1-მდე;
- არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე;
- დაინტერესებულმა პირმა ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის - 1,178,733.44 ლარის გადარიცხვა განახორციელოს ხაზინის ერთიან ანგარიშზე;
- დაინტერესებულმა პირმა ზემოაღნიშნული თანხის ჩარიცხვა უნდა განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე, მაგრამ არაუგვიანეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან 6 თვის ვადისა;
- ზემოაღნიშნული ვალდებულებების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა იწვევს წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას.

აზრი გამოთქვას:



წინა ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-5 მუხლის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვეტის:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, პოზიცია - „წინააღმდეგია“ დააფიქსირა უფრაქციო დეპუტატმა დავით ფარცვანიამ.


იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

32. თათია ბარაქაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ოცდამეთორმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, ეთერ ბოცვაძის ქუჩა N8-ში მდებარე 6605 კვ.მ. ფართობის მქონე მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლელებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის - შპს „ლისი თაუერსისთვის“ სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

მომხსენებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალური ვებ-გვერდის (www.tbilisi.gov.ge) საშუალებით 2024 წლის 16 აპრილიდან 2024 წლის 13 მაისის ჩათვლით, გამოცხადდა ინტერესთა გამოხატვა, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის მიერ ქ. თბილისში, ეთერ ბოცვაძის ქუჩა N8-ში მდებარე, 6605 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის პრივატიზება, მასზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობა და აშენებულ შენობა-ნაგებობაში განსაზღვრული ოდენობის ფართის (თეთრი კარკასის მდგომარეობით) კოოპერატივის წევრებისათვის საკუთრებაში გადაცემა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე უარის თქმის სანაცვლოდ. ინტერესთა გამოხატვის პირობების თანახმად, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი (კ2) განისაზღვრა არაუმეტეს 4.0-ით, ხოლო ინტერესთა გამოხატვაში მონაწილე სუბიექტების მიერ სააგენტოსთვის/კოოპერატივის წევრებისთვის/სააგენტოს მიერ განსაზღვრული სხვა პირობებისთვის გადასაცემი ფართის მინიმალური შეთავაზება - 2 650 კვ.მ.-ით.

როგორც თათია ბარაქაძემ აღნიშნა, აღნიშნული ინტერესთა გამოხატვის ფარგლებში განსაზღვრულ ვადაში სააგენტოში წარმოდგენილ იქნა 2 (ორი) დაინტერესებული პირის განცხადება, ამასთანავე, შპს „ლისი თაუერსის“ მიერ შემოთავაზებული იქნა საინვესტიციო წინადადება, ინტერესთა გამოხატვის ფარგლებში განსახორციელებელი სამშენებლო პროექტიდან სააგენტოსთვის/კოოპერატივის წევრებისთვის/სააგენტოს მიერ განსაზღვრული სხვა პირობებისთვის გადასაცემი - 4 200 კვ.მ. ფართის ოდენობით - (თეთრი კარკასის მდგომარეობით), რომელიც უპირატესი იყო სხვა დაინტერესებული სუბიექტის მიერ წარმოდგენილ წინადადებასთან მიმართებით. შესაბამისად, ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულად გამოცხადდა აღნიშნული კომპანია.



მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზეც, რომ მითითებულ მიწის ნაკვეთზე ვრცელდება ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს რეკომენდაციით განსაზღვრული შეზღუდვის ბუფერი, კერძოდ, მიწის ნაკვეთი მდებარეობს საელჩოს საკადასტრო საზღვრიდან 200-დან 500 მეტრამდე არეალში. 2024 წლის 23 სექტემბრის წერილის თანახმად, საელჩო, არ არის მშენებლობის წინააღმდეგი იმ პირობით, თუ განთავსდება არაუმეტეს 10 სართულიანი შენობა, რომელსაც საელჩოს მხარეს არ ექნება დიობები.

მომხსენებლის განმარტებით, ჯამურად, აღნიშნული პროექტი ითვალისწინებს სხვადასხვა კოოპერატივის 32 (ოცდათორმეტი) წევრის დაკმაყოფილებას. რაც შეეხება გადასაცემი ფართის (4200 კვ.მ.-ის) გადანაწილებას, კოოპერატივის წევრებისთვის გადასაცემი ფართი ჯამურად შეადგენს - 2541.324 კვ.მ.-ს, აქედან გამომდინარე, დარჩენილი, 1658.68 კვ.მ.-ის ფართის მიმღებ პირად განისაზღვრება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი.

მომხსენებლისვე მითითებით, წარმოდგენილი განკარგულების დანართი N1-ის მე-3, მე-8 და მე-14 პუნქტებით გათვალისწინებულ პირებს: რაია ჭკადუას, ლალი ჭინჭარაულს და ხათუნა თანდილაშვილს კოოპერატიული ბინათმშენებლობიდან გამომდინარე, საკუთრებაში აქვთ მიღებული უძრავი ქონება, მათ მიერ სააგენტოში წარმოდგენილი იქნა თანხმობ(ებ)ი, რომლითაც, აღნიშნული პირები, ხსენებული პროექტით განსაზღვრული წილის საკუთრებაში მიღების სანაცვლოდ, მოგვიანებით, კომპანიის მიერ, ამავე მიწის ნაკვეთზე განვითარებულ სამშენებლო პროექტში შესაბამისი ფართის (საცხოვრებელი ბინა თეთრი კარკასის მდგომარეობით) მათთვის გადაცემის შესაძლებლობის გათვალისწინებით, უარს ამბობენ ქ. თბილისში, გურამიშვილის გამზ. N70-ის მიმდებარედ, კორპ. N2, კორპ. N3 (ყოფილი ავჭალის გზატკეცილი N64), 3054 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (შენობა-ნაგებობიდან) მათ კუთვნილ წილზე და აღნიშნულ ქონებას კანონმდებლობით დადგენილი წესით, უსასყიდლოდ საკუთრებაში გადასცემენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს.

როგორც მომხსენებელმა დასძინა, ვინაიდან „მხატვრების დასახლების მიმდებარედ დაკმაყოფილებული კოოპერატივების წევრებმა“ ვერ მოახდინეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 25 იანვრის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 თებერვლის განკარგულებებით მინიჭებული უფლების რეალიზაცია, კერძოდ, 2017 წლიდან დღემდე გადაცემულ მიწის ნაკვეთებზე ვერ მოახდინეს ვერც საკუთრების უფლების რეგისტრაცია და ვერც ფაქტობრივად დაუფლნენ მათ, რამეთუ ამ მიწის ნაკვეთების უფლებრივი მდგომარეობის შესახებ დავა მიმდინარეობს სასამართლოში, განკარგულების დანართი N1-ის მე-12 პუნქტით გათვალისწინებული პირი არიან ბერულავა, როგორც „მხატვრების დასახლების მიმდებარედ დაკმაყოფილებული კოოპერატივების წევრი“ თანახმაა ზემოხსენებული განკარგულებების საფუძველზე გადაცემულ ფართზე უარის თქმისა და კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ, დაკმაყოფილდეს აღნიშნული პროექტით განსაზღვრული შესაბამისი წილის მიღებით, მოგვიანებით კომპანიის მიერ მიწის ნაკვეთზე განვითარებულ სამშენებლო პროექტში კონკრეტული ფართის საცხოვრებელი ბინის (თეთრი კარკასის მდგომარეობით) მისთვის გადაცემის შესაძლებლობის გათვალისწინებით. ამასთანავე, დაინტერესებული პირი ადასტურებს, რომ აღნიშნული ქონების გადაცემით უარს ამბობს მის მიმართ არსებულ ან მომავალში გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე.

მომხსენების მიწურულს, თათია ბარაქაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ



მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა წარმოდგენილი განკარგულების და ხელშეკრულების პროექტების მიმართ არსებული სამართლებრივი და ტექნიკური ხასიათის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა უფრაქციო დეპუტატმა დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე

ნინო ვარდოსანიძე

სხდომის მდივანი

ნინო დანელიშვილი